COLLEGE

მარნეულის კოლეჯი

COLLEGE OF MARNEULI

პრაქტიკის კვლევის ანგარიში

2021-2022 სამოქმედო წელი

კვლევის ანგარიში მომზადებულია შპს მარნეულის კოლეჯის ხარისხის მართვის ხელმძღვანელის -შორენა ალაგარდაშვილის მიერ.

http://www.mc.edu.ge

სტრუქტურა

1. საკვლევი საკითხი; კვლევის მიზნები; მეთოდოლოგია
2. კვლევის შერჩევა
3. თემის აქტუალობა
4. კვლევის მონაცემები
5. დასკვნა; რეკომენდაციები

საკვლევი საკითხი

- პრაქტიკის კომპონენტის შეფასება პარტნიორი ორგანიზაიებისა და სტუდენტების მიერ.

კვლევის მიზანი

- პრაქტიკის კომპონენტის შეფასება.
- პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის მიერ გამოვლენილი კომპეტენციის შეფასება.

კვლევის მეთოდი, ინსტრუმენტი

- **მეთოდი:** შერეული კვლევა - თვისებრივი და რაოდენობრივი.
- *რაოდენობრივი კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ* - სტუდენტები, რომლებმაც გაიარეს პრაქტიკის კომპონენტი.
- *თვისებრივი კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ* - კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციები, რომლებთანაც ხორციელდება პრაქტიკის კომპონენტი.

კვლევის შერჩევა

კვლევის საგნის სპეციფიურობიდან გამომდინარე არ მოხდა ცდის პირების შერჩევა, კვლევაში მონაწილეობის მისაღებად მიმართვა დაეგზავა ყველა სტუდენტს, ვისაც ერთი კვირის მანძილზე დასრულებული ჰქონდა პრაქტიკის კომპონენტი და იმ ორგანიზაციებს სადაც განხორციელდა პრაქტიკული სწავლება.

თემის აქტუალობა

პროფესიულ განათლებაში პრაქტიკის კომპონენტი სტუდენტების მომზადების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია, მითუმეტეს როდესაც საქმე ეხება საგანმანათლებლო სისტემის აღნიშნულ საფეხურს.

განათლება, რომელიც დაინტერესებულ პირს აძლევს საშუალებას განივითაროს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი უნარ-ჩვევები, დააგროვოს საბაზისო თეორიული ცოდნა და გამოცდილება მისთვის საინტერესო სფეროში და გახდეს კონკურენტუნარიანი კადრი. იმისათვის, რომ პროფესიული განათლების მიზნები იყოს მიღწეული და თითოეულმა სტუდენტმა მიიღოს სრულყოფილი პროფესიული განათლება, უდიდესი როლი ენიჭება - პრაქტიკული კომპონენტის სწავლებას. ამ უკანასკნელის შეფასება და ხარვეზების დადგენა მათი შემდგომი გაუმჯობესების მიზნით კი თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების კვლევის საგანს წარმოადგენს.

პრაქტიკული კომპონენტის სწავლება ხელს უწყობს სტუდენტის იმ უნარების განვითარებას, რომელიც ემსახურება თეორიული ცოდნის განმტკიცებას და პრაქტიკაში გამოყენებას. სტუდენტს აძლევს საშუალებას პრაქტიკში განახორციელოს შეძენილი პროფესიული უნარ-ჩვევები, განიმტკიცოს და გამოიმუშაოს სამუშაო გარემოში მათი ეფექტურად მართვის ხერხები.

რაოდენობრივი კვლევის მონაცემები

კვლევაში მონაწილეობა მიიღეს იმ სტუდენტებმა, ვისაც ბოლო 10 თვის მანძილზე გაიარეს პრაქტიკული კომპონენტი, კერძოდ:

1) აღმზრდელის პროგრამის ორი მოდულის ფარგლებში;

2) ფარმაციის პროგრამის 7 მოდულის ფარგლებში;

შენიშვნა: კვლევის მონაცემებს წარმოგიდგენთ პროგრამების მიხედვით ცალ-ცალკე.

რაოდენობრივი კვლევის მონაცემები

პროფესიული საგამანათლებლო პროგრამა - ფარმაცია

ფარმაციის სტუდენტებმა სულ 55 გაიარა პრაქტიკული კომპონენტის მოდულები - 7 მოდული:

- *მომხმარებლისთვის ავადმყოფის მოვლის და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა;*
- *მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევა;*
- *მომხმარებლისთვის მცენარეული, ცხოველური და მინერალური წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა;*
- *მომხმარებლისთვის ბავშვთა კვების, მოვლისა და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა;*
- *მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებებში;*
- *პროდუქციის მიღება - განთავსება, ნაშთის პერიოდული კონტროლი და ანგარიშგება;*
- *მცირე შეფუთვებად მზა წამლების ფორმების დაფასოება- შეფუთვა, მარკირება;*

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 48 სტუდენტმა. პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდა 3 ორგანიზაციაში, მაგრამ ჩაღრმავებული ინტერვიუ ჩატარდა - სს გეფას და შპს იმპექს-ფარმის მენეჯერებთან.

რაოდენობრივი კვლევის მონაცემები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ფარმაცია

- პრაქტიკის კომპონენტის კვლევისთვის უპირატესი საკითხია უსაფრთხოების ნორმების დაცვა. კვლევაში მონაწილე სტუდენტების 100% განაცხადა, რომ ორგანიზაციაში უზრუნველყოფილი იყო უსაფრთხო სამუშაო გარემო.
- კვლევის ფარგლებში სტუდენტებმა შეაფასეს პრაქტიკის ინსტრუქტორი სხვადასხვა კრიტერიუმით: უსაფრთხოების და სანიტარული ნორმების შესახებ ინსტრუქტაჟის, ორგანიზაციაში არსებული წესებისა და რეგულაციების გაცნობის, სტუდენტებისადმი დათმობილი დროის, კონსულტაციების, სასწავლო პროცესის ორგანიზებულად წარმართვის შესახებ, სტუდენტებისთვის დათმობილი დროის თანაბარი განაწილება და ა.შ.
- მონაცემების მიხედვით 43 სტუდენტი ამბობს, რომ მათ მიიღეს უსაფრთოხების შესახებ ინსტრუქტაჟი, ხოლო 47 ასახელებს სანიტარული ნორმების შესახებ ინფორმაციის მიღებას, 42 სტუდენტი ამბობს, რომ მათ მიიღეს ორგანიზაციაში არსებული წესებისა და რეგულაციების შესახებ ინფორმაცია.

რაოდენობრივი კვლევის მონაცემები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა- ფარმაცია

- *სტუდენტების მიერ პრაქტიკის ინსტრუქტორის შეფასება*



რაოდენობრივი კვლევის მონაცემები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა- ფარმაცია

- ყველა სტუდენტი პრობლემის წამოჭრის შემთხვევაში მიმართავდა კონსულტაციის/დახმარების მისაღებად პრაქტიკის ინსტრუქტორს.
- დასახელდა პრაქტიკის ინსტრუქტორთან შეხვედრის სიხშირე:
  - 13 სტუდენტი - კომუნიკაციის სიხშირე იყო კვირაში სამჯერ, 19 სტუდენტი - ორჯერ, 9 ამბობს ყოველდღე, ხოლო 7 - კვირაში ერთხელ.
- აღნიშნული მონაცემის განსხვავებულობა შესაძლოა გამოწვეული იყოს, თავად სტუდენტებისთვის კომუნიკაციის საჭიროების სიხშირეზე ან მათი მხრიდან პრაქტიკის კომპონენტზე დასწრების სიხშირით.
- სტუდენტებს 10 ბალიან შკალაზე უნდა შეეფასებინათ პრაქტიკის ინსტრუქტორის მიერ მიღებული დახმარება და კონსულტაცია, მათ 8-9 და 10 ქულაზე შეაფასეს აღნიშნული საკითხი.

რაოდენობრივი კვლევის მონაცემები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა- ფარმაცია

- პრაქტიკის კომპონენტის მთავარი დანიშნულებაა სტუდენტმა შეძლოს და მოახდინოს მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება.
- გამოკითხული 42 სტუდენტი ამბობს, რომ სამუშაო პროცესში იყენებდნენ თეორიულ ცოდნას, 2-ნაწილობრივ, ხოლო 4 -არა.
- კვლევის ფარგლებში სტუდენტებს მოიყვანეს მაგალითები, რის მიხედვითაც შეიძლება დადებითად შეფასდეს სტუდენტის მიერ პრაქტიკაში თეორიული ცოდნის გამოყენება:

  - *„დიახ. პრაქტიკულად ვიყენებდი თეორიულ ცოდნას. ვნახულობდი სერიას და ნომერს პრეპარატის. რაც გავირე მოდულის ფარგლებში.*
  - *- მომხმარებელთან ურთიერთობის საკითხები თეორიულად ვისწავლე კოლეჯში რომელსაც ყოველდღიურად ვიყენებდი აფთიაქში.*
  - *კოლეჯში მოდულების ფარგლებში ვისწავლეთ წამლებზე ვადის ემოწმება, სერიის მიხედვით ამოცნობა პირველადი და მეორადი შეფუთვების სწორად გაკეთება, რასაც აქტიურად ვიყენებდით პრაქტიკების დროს აფთიქაში.*
  - *მაგ. კოლეჯში ვისწავლეთ, რომ როცა მომხმარებელს უნდა ვურჩიოთ, რაიმე პროდუქცია, მის შეძენამდე ინფორმაციის სწორად მიწოდებისთვის, რომ უნდა გვენახა ეტიკეტი არსებულ პროდუქციაზე, ჯერ ჩვენ უნდა გავცნობოდით საფუძვლიანად და შემდეგ გვეჩია მომხმარებლისთვის, რასაც პრაქტიკაში ხშირად ვიყენებდი და ეს ცოდნა ძალიან გამომადგა.*

რაოდენობრივი კვლევის მონაცემები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა- ფარმაცია

- სტუდენეტებს უნდა დაესახელებინათ თუ ჰქონიათ ისეთი შემთხვევა პრაქტიკის დროს, რომ თეორიული ცოდნა არა საკმარისი აღმოჩნდა.
- 42 სტუდენტი ამბობს, რომ არა, 4- დიახ, 2 - ნაწილობრივ.
- 4 სტუდენტმა, რომლებიც ამბობენ რომ არასაკმარისი იყო მათი თეორიული ცოდნა პრაქტიკის დროს დაასახელეს, რომ პროგრამულად ვერ შეძლეს მომხამარებლისთვის მედიკამენტის გამოწერა; ახალი წამლის დაფასოება/დალაგება გაუჭირდათ რადგან არ იცოდნენ რის მიხედვით ხდებოდა დალაგება; ასევე, დასახელდა ჯერჯერობით არასკმარისი მოდულების გავლა პირველკურსელების მხრიდან (2 სტუდენტი);
- კვლევის ფარგლებში სტუდენტებმა შეაფასეს სასაწავლო პროცესი პრაქტიკის ობიექტზე.
- 24 სტუდენტი თვლის, რომ სწავლების პროცესი პრაქტიკის განმავლობაში იყო მრავალფეროვანი, 21 ამბობს, რომ „არა“, ხოლო 3 – “ნაწილობრივ“.

რაოდენობრივიკვლევის მონაცემები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა- ფარმაცია

- მხოლოდ 5 სტუდენტი ამბობს, რომ მათ პრაქტიკის პერიოდში უწევდათ შესრულებული სამუშაოს პრეზენტირება.
- ისინი აცხადებენ, რომ დღის ბოლოს მენეჯერთან ან ხელმძღვანელთან ჰქონდათ სამუშაო დღის შეჯამება, ახდენდნენ შესრულებული სამუშაოს აღწერას და განიხილავდნენ შეცდომებს, რაც დადებითი ფაქტის ამსახველია.
- შეფასებასთან დაკავშირებით 22 სტუდენტი ასახლებს, რომ მათთვის ცნობილი იყო პრაქტიკის შეფასების კრიტერიუმები და ფორმები, 20 ამბობს, რომ არ იცოდნენ, ხოლო 6 ნაწილობრივ ფლობდა ინფორმაციას.

რაოდენობრივი კვლევის მონაცემები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა- ფარმაცია

სტუდენტების მიერ სასწავლო პროცესის შეფასება პრაქტიკის დროს



რაოდენობრივი კვლევის მონაცემები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა- ფარმაცია

- პრაქტიკის განხორციელების პროცესების შესაფასებლად სტუდენტებთან მოხდა ჩაკითხვა, თუ ეთანხმებოდნენ აზრს, რომ - „ორგანიზაციაში რასაც გვინდა იმას ვაკეთებდით, მთავარი იყო ხელი არავისთვის არ შეგვეშალა მუშაობის დროს„.

- სტუდენტების თითქმის აბსოლიტურმა უმრავლესობამ უარყო მსგავსი შემთხვევების არსებობა (არა-46, ნაწილობრივ -2, დიახ-0). ორი სტუდენტის შემთხვევაში ვინც მსგავსი ფაქტის არსებობასთან დაკავშირებით დადებითი პასუხი განაცხადა უნდა დაესახელებინა მაგალითი, თუმცაღა მათ მიერ დასახელებული მაგალითის მიხედვით ვერ ჩაითვლება მათი პასუხი მისაღებად:

  - *მაგალითად შემეძლო ნებისმიერ მედიკამენტის მოძებნა გახსნა დათვალიერებას წაკითხვა და ა.შ*
  - *მაგალითად შემეძლო ნებისმიერი მედიკამენტის მოძებნა, გახსნა, დათვალიერება, ანოტაციის წაკითხვა და ასე შ.*

“

რაოდენობრივი კვლევის მონაცემები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა- ფარმაცია

- მონაცემების მიხედვით 43 სტუდენტმა დაასახელა, რომ გამოყოფილი დრო საკმარისია, მხოლოდ 5 მიიჩნია არასაკმარისი დროის გამოყოფა, თუმცაღა ვერ შეძლო გონივრული მიზეზის ან არგუმენტის დასახელება.
- სტუდენტების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ მათ არ დასჭირვებიათ პრაქტიკის მენეჯერის დახმარება (44 სტუდენტი), ხოლო 3 განაცხადა, რომ დასჭირდა და დაასახელეს მაგალითებიც, რაც ძირითადად ეხებოდა პრაქტიკის კომპონენტის დაწყებამდე პერიოდს, რაც მოიცავდა ინფორმაციას პრაქტიკის ობიექტის შესახებ, მისი ადგილმდებაროების და ა.შ. ორგანიზაციულ საკითხებს.
- გამოკითხთულთაგან 29 სტუდენტმა განაცხადა, რომ მათ შემოთავაზება მიიღეს ორგანიზაციისგან დასაქმებასთან დაკავშირებით, ხოლო 19 სტუდენტი ამბობს, რომ არ მიუღიათ მსგავსი შეთავაზება.

თვისებრივი კვლევის მონაცემები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა- ფარმაცია

- პრაქტიკის განმახორციელებელი ორგანიზაციის წარმომადგენლებმა თვისებრივი კვლევის ფარგლებში დაგვისახელეს, რომ მათი მენეჯერები პრაქტიკაზე მყოფ სტუდენტებთან მოდულების შესაბამისი საკითხების გაცნობით, სწავლებით და შესაბამისი დავალებების მიცემით არიან დაკავებულები;
- თუმცაღა, გამოიკვეთა, რომ იყო შემთხვევები, როდესაც არა მოდულით განსაზღვრული საკითხების დასწავლაც ხდებოდა და მათი მხრიდან ეს ახსნილია სტუდენტების მხრიდან მაღალი ინტერესით;
- აღნიშნული ფაქტი ერთის მხრივ ხაზს უსვამს სტუდენტებში სწორი დამოკიდებულებების არსებობას სწავლის პროცესების მიმართ და მეორე მხრივ პრაქტიკის ობიექტების მხრიდან სტუდენტების მიმართ მათ პასუხისმგებლიან დამოკიდებულებებზე;
- არის შემთხვევები და მნიშვნელოვანიც, როდესაც პრაქტიკის ობიექტზე სტუდნტების მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას აკეთებენ მენეჯერები. შეფასებას ახორციელებენ, ან ზეპირი ფორმით, ან წერილობით. მნიშვნელოვანია, რომ თითოეულ შემთხვევაში ხდება მოდულის პრაქტიკულ კომპონენტთან მიმართებით სტუდენტების უნარების შეფასება.

თვისებრივი კვლევის მონაცემები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა- ფარმაცია

- პრაქტიკებისთვის დათმობილი დროის საკმარობის შესახებ ორგანიზაციების მხრიდან გამოიკვეთა, რომ სრულებით საკმარისია განსაზღვული დრო იმ საკითხების შესასწავლად და გასავლელად, რაც კონკრეტული მოდულის შემთხვევაში არის გაწერილი;
- პრაქტიკის ინსტრუქტორთან სტუდენტების კომუნიკაციის სიხშირე და საჭიროებაც დადებითად შეფასდა და აღინიშნა, რომ ყოველკვირეული შეხვედრები აქვთ ობიექტზე სტუდენტებს პრაქტიკის მასწავლებელთან, და სიხშირე დამოკიდებულია სტუდენტის საჭიროებებზე;
- თვისებრივი კვლევის დროს ცდის პირებთან მოხდა ჩაკითხვა ორგანიზაციაში სტუდენტების სასწავლო პროცესების შესაფასებლად. მათი მხრიდან აღინიშნა, რომ სტუდენტები გამომდინარე იქიდან, რომ დამოუკიდებლად ვერ შეასრულებენ ვერცერთ აქტივობას აფთიაქებში და ვერც მომხმარებელთან ექნებათ პირდაპირი კონტაქტი, მათ საქმიანობას მეთვალყურეობს მენეჯერი ან პრაქტიკის მასწავლებელი;
- მენეჯერების მხრიდან პერიოდულად და საჭროებისამებრ ხდება, სტუდენტების მხრიდან უკუკავშირის მოთხოვნა, შეიძლება ეს იყოს წერილობითი ფორმა ან ზეპირი, დამოკიდებულია სტუდენტებისთვის მიცემული დავალებების ფორმაზე.

თვისებრივი კვლევის მონაცემები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა- ფარმაცია

- პრაქტიკის ობიექტები დადებითად აფასებენ სტუდნეტების მიერ თეორიული ცოდნის ფლობას, ასახელებენ, რომ ძირითადად ხარვეზი არ გამოვლენილა რაიმე საკითხის არ ცოდნასთან დაკავშირებით,
- თუმცა ერთი ორგაიზაციის მიერ აღინიშნა, რომ მათი მხრიდანაც ახალია პრაქტიკანტების სწავლება და მიუხედავად იმისა, რომ ძირეული ხარვეზი არ გამოკვეთილა, არც სტუდენტების მხრიდან და არც პრაქტიკის მასწავლებლის მხრიდან;
- ასევე ერთერთი ორგანიზაციის მიერ აღინიშნა, იშვიათად გამოიკვეთა სტუდენტებში არასამკარისი მონდომება, რომ ისწავლონ და იზრუნონ პროფესიულ განვითარებაზე;
- პრაქტიკის განმახორციელებელმა ორგანიზაციებმა სტუდენტთა მოტივაცია ძირითადად 7-8 ქულით შეაფასეს.
- პრაქტიკების დაწყებისთანავე სტუდენტებს აცნობენ არსებულ ქცევის წესებს, უტარებენ ინსტრუქტაჟს და აწვდიან ორგანიზაციის შესახებ ინფორმაციას.
- არცერთი ორგანიზაციის მხრიდან, არცერთ ჯგუფთან მიმართებით არ დასახელებულა მცირედი წესების დარღვევაც კი.

თვისებრივი კვლევის მონაცემები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა- ფარმაცია

თვისებრივი კვლევის ფარგლებში ორგანიზაციებს ჰქოდათ შესაძლებლობა კოლეჯისთვის მიეცათ რჩევა/რეკომენდაცია სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

- ორგანიზაციების მიერ დასახელდა, რომ ამ ეტაპზე სრულიად აკმაყოფილებთ კოლეჯის მიერ მომზადებული კადრი.
- მხოლოდ ერთი ორგანიზაციის შემთხვევაში გამოიკვეთა რჩევა, ალბათ უფრო მთლიანად სისტემის მიმართ და მნიშვნელოვან საკითხს გაესვა ხაზი, კერძოდ საზოგადოებაში პროფესიული განათლების ცნობადობას.
- საყურადღებოა, რომ აღნიშნული საკითხის მნიშვნელოვნება შპს მარნეულის კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახურის მიერ განხორციელებული სხვადასხვა კვლევის მონაცემების შესწვალითაც

კვლევის მონაცემები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა- აღმზრდელი

პრაქტიკული კომპონენტი სულ გაიარა აღმზრდელის შემთხვევაში 26 სტუდენტმა ორი მოდულის ფარგლებში:

- *გაცნობითი პრაქტიკა (26 სტუდენტი);*
- *დაკვირვება და შეფასება ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში (21 სტუდენტი).*

ორივე მოდულის ფარგლებში პრაქტიკა გაიარეს ერთიდაიგივე სტუდენტებმა, ამიტომ კვლევაში მონაწილეობის მიიღება მოხდა ორ გზის (2021 წლის დეკემბერში და 2022 წლის ივნისში) 24 და 21 სტუდენტის მიერ.

პრაქტიკული კომპონენტის სწავლება მიმდინარეობდა 4 ორგანიზაციაში, მათგან სამ ორგანიზაციაში ჩატარდა ჩაღრმავებული ინტერვიუ - მარნეულის N3 ბაგა ბაღი, მარნეულის რაიონის სოფელ თამარისის ბაგა ბაღი და სოფელ წერეთლის ბაგა ბაღი.

რაოდენობრივი კვლევის მონაცემები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - აღმზრდელი

- კვლევაში მონაწილე სტუდენტების მიერ ორივე მოდულის შემთხვევაში თითქმის 100% განაცხადა, რომ ორგანიზაციაში უზრუნველყოფილი იყო უსაფრთხო სამუშაო გარემო.
- მონაცემების მიხედვით მოდული 1 შემთხვევაში ყველა სტუდენტის მიერ დასახელდა, რომ მათ მიიღეს უსაფრთხოების შესახებ ინსტრუქტაჟი, ხოლო მოდული 2 შემთხვევაში მხოლოდ 1 სტუდენტმა აღნიშნა, რომ არა.
- სანიტარული ნორმების შესახებ ინფორმაციის მიღება დადასტურდა ორივე მოდულის შემთხვევაში.
- ორივე მოდულის სტუდენტების მიერ დასახელდა, რომ მათ მიიღეს ორგანიზაციაში არსებული წესებისა და რეგულაციების შესახებ ინფორმაცია.
- ხელმძღვანელის მიერ სტუდენტებისადმი დათმობილი დრო თანაბრად, რომ იყო გადანაწილებული, ორივე მოდულის შემთხვევაში დადასტურდა.
- მოდული 1 შემთხვევაში 4 სტუდენტი აცხადებს, რომ ნაწილობრივ ხდებოდა 1, ხოლო დანარჩენი ადასტურებს რეკომენდაციების მიღებას პრაქტიკის ინსტრუქტორისგან. ხოლო მოდული 2 შემთხვევაში 6 სტუდენტი ამბობს, რომ ნაწილობრივ ხდებოდა, ერთი უარყოფს და დანარჩენი ადასტურებს რჩევების მიღების ფაქტს.

რაოდენობრივი კვლევის მონაცემები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - აღმზრდელი

- პრაქტიკის ინსტრუქტორი, რომ ორგანიზებულად წარმართავდა პრაქტიკას ამაზე თანხმობას აცხადებს მოდული 1 შემთხვევაში ყველა სტუდენტი, ხოლო მოდული 2 შემთხვევაში 1 უარყოფს და ერთი ამბობს, რომ ნაწილობრივ.
- მოდული 2 შემთხვევაში ყველა სტუდენტი ეთანხმება, რომ პრობლემის წამოჭრის შემთხვევაში მიმართავდნენ კონსულტაციის/დახმარების მისაღებად პრაქტიკის ინსტრუქტორს. ხოლო მოდული 1 შემთხვევაში, სამი სტუდენტი აცხადებს, რომ არ მიმართავდნენ ინსტრუქტორს.
- სტუდენტებმა ასევე, დაასახელეს პრაქტიკის ინსტრუქტორთან შეხვედრის სიხშირე, გამოიკვეთა სხვადასხვა მოცემულობა, როგორც მოდულებს შორის ისე სიხშირეებს შორის, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს, თავად სტუდენტებისთვის კომუნიკაციის საჭიროების სიხშირეზე ან მათი მხრიდან პრაქტიკის კომპონენტზე დასწრების სიხშირით, ასევე, მოდულის შინაარსობრივი მხარით.
- სტუდენტებმა 10 ბალიან შკალაზე პრაქტიკის ინსტრუქტორის მიერ მიღებული დახმარება და კონსულტაცია, 8-9 და 10 ქულაზე შეაფასეს.

რაოდენობრივი კვლევის მონაცემები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - აღმზრდელი

- პრაქტიკის კომპონენტის მთავარი დანიშნულებაა სტუდენტმა შეძლოს და მოახდინოს მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება.
- გამოკითხული სტუდენტი მოდული 2 შემთხვევაში ყველამ განაცხადა, რომ სამუშაო პროცესში იყენებდნენ თეორიულ ცოდნას, ხოლო მოდული 1 შემთხვევაში 2 სტუდენტმა აღნიშნა, რომ არ იყენებდნენ.
- კვლევის ფარგლებში სტუდენტებს ვინც უპასუხეს დიახ, უნდა მოეყვანათ მაგალითები, რის მიხედვითაც შეიძლება დადებითად შეფასდეს სტუდენტის მიერ პრაქტიკაში თეორიული ცოდნის გამოყენება.
- ორივე მოდულის შემთხვევაში 2 სტუდენტმა დაასახელა, რომ არ იყო საკმარისი მათი თეორიული ცოდნა პრაქტიკული სამუშაოს შესრულების დროს. დასახელდა აუტიზმთან დაკავშირებული ინფორმაციის არ ცოდნა, რაც მათი თქმით, სჭირდებოდათ პრაქტიკების დროს.
- კვლევაში მონაწილე სტუდენტებიდან ორივე მოდულის შემთხვევაში სულ ორი სტუდენტი აცხადებს, რომ პრაქტიკის ობიექტზე მათი სწავლების პროცესი არ იყო მრავალფეროვანი, ხოლო დანარჩენი სტუდენტები ორივე მოდულის ფარგლებში ადასტურებენ მრავალფეროვანი სწავლების არსებობას და ასახელებენ მაგალითებსაც.

რაოდენობრივი კვლევის მონაცემები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - აღმზრდელი

- მოდული 1-ის შემთხვევაში მხოლოდ 4 სტუდენტი ამბობს, რომ მათ პრაქტიკის პერიოდში უწევდათ შესრულებული სამუშაოს პრეზენტირება, 17 კი აცხადებს, რომ „არა“, ხოლო მოდული 2-ის შემთხვევაში 6 სტუდენტი ამბობს - კი ჰქონდათ პრეზენტაციები, ხოლო 15 უარყოფს მსგავსი ფაქტის არსებობას.
- მათ მიერ დასახელებული მაგალითები ეხება კოლეჯში სწავლების პროცესს, როდესაც ერთი თემის დასრულების შემდეგ აკეთებდნენ შემაჯამებელ პრეზენტაციას.
- სტუდენტები, მოდული 1-ის შემთხვევაში 13 ასახელებს, რომ მათთვის ცნობილი იყო პრაქტიკის შეფასების კრიტერიუმები და ფორმები, ხოლო მოდული 2 -ის შემთხვევაში 18.
- მოდული 1 შემთხვევაში 3 სტუდენტმა დაასახელა, რომ გამოყოფილი დრო არასაკმარისია, თუმცაღა მათ ვერ შეძლეს, გონივრული ან ყურადსაღები არგუმენტის დასახელება.
- სტუდენტების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ მათ არ დასჭირვებიათ პრაქტიკის მენეჯერის დახმარება.
- გამოკითხულთაგან სტუდენტებიდან ორივე მოდულის შემთხვევაში, მოხლოდ 1 სტუდენტმა (მოდული1) განაცხადა, რომ შემოთავაზება მიიღო ორგანიზაციისგან დასაქმებასთან დაკავშირებით.

რაოდენობრივი კვლევის მონაცემები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - აღმზრდელი

პრაქტიკის განხორციელების პროცესების შესაფასებლად სტუდენტებთან მოხდა ჩაკითხვა, თუ ეთანხმებოდნენ აზრს, რომ - „ორგანიზაციაში რასაც გვინდა იმას ვაკეთებდით, მთავარი იყო ხელი არავისთვის არ შეგვეშალა მუშაობის დროს„.

- სტუდენტების თითქმის აბსოლიტურმა უმრავლესობამ ორივე მოდულის შემთხვევაში უარყო მსგავსი შემთხვევების არსებობა (მოდული 1 დიახ-1, ნაწილობრივ 2);
- ერთი სტუდენტის შემთხვევაში ვინც მსგავსი ფაქტის არსებობასთან დაკავშირებით დადებითი პასუხი განაცხადა, უნდა დაესახელებინა მაგალითი, თუმცაღა მის მიერ დასახელებული მაგალითის მიხედვით ვერ ჩაითვლება მისი პასუხი ყურადსაღებად (მუსიკის ოთახში შეგვიყვანეს).

თვისებრივი კვლევის მონაცემები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - აღმზრდელი

- კვლევაში მონაწილე პრაქტიკის განმახორციელებელი ორგანიზაციის წარმომადგენლებმა თვისებრივი კვლევის ფარგლებში დაგვისახელეს, რომ მათი მენეჯერები პრაქტიკაზე მყოფ სტუდენტებს აცნობენ ორგანიზაციაში მუშაობის სპეციფიკას, მოდულების შესაბამისი საკითხების ფარგლებში აწვდიან განსახორციელებელ სამუშაოსა და შესაბამის აქტივობებს და აძლევენ კონკრეტულ დავალებებს;
- პრაქტიკებისთვის დათმობილი დროის საკმარობის შესახებ ორგანიზაციების ნაწილის მხრიდან გამოიკვეთა, რომ განსაზღვრული დრო საკმარისია იმ საკითხების შესასწავლად და გასავლელად, რაც კონკრეტული მოდულის შემთხვევაში არის გაწერილი, თუმცა ამის მიზეზადვე ასახელებენ, რომ სტუდენტები, რომლებიც პრაქტიკებს გადიან მათ ორგანიზაციაში, სწავლების პარალელურად არიან დასაქმებულები, ამიტომ მათთვის საკმარისია განსაზღვრული დრო.
- თუმცა ერთ-ერთი ორგანიზაციის წარმომადგენლის მიერ აღინიშნა, რომ პრაქტკისთვის დათმობილი დრო არ არის საკმარისი.

თვისებრივი კვლევის მონაცემები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - აღმზრდელი

- ცდის პირების ნაწილის მიერ გაცემული პასუხებიდან გამომდინარე, გამოიკვეთა, რომ ორგანიზაციის წარმომადგენლების მხრიდან ნაკლებად არის ყურადღება გამახვილებული კონკრეტული მოდულის ფარგლებში შემავალ თემებსა და საკითხებზე, პრაქტიკის მთლიანი პერიოდი კი ეთმობა მთლიან სამუშაო პროცესს. აქედან გამომდინარე კი დგინდება, რომ პრაქტიკისთვის დათმობილი დროის არასაკმარისობაზე, ორგანიზაციები ითვალისწინებენ ბაღში მუშაობის მთლიან სპეციფიკას და არა კონკრეტული მოდულის ფარგლებში გასავლელ საკითხებს.
- არის შემთხვევები, როდესაც პრაქტიკის ობიექტზე სტუდნტების მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას აკეთებენ მენეჯერები, თუმცა მათი მხრიდან შეფასების გაკეთება ხდება ზეპირი ფორმით. სტუდენტების ზეპირი ფორმით შეფასებას ახორციელებენ პრაქტიკის ინსტრუქტორები. აქვე ერთ-ერთი ორგანიზაციის წარმომადგენლისგან დაფიქსირდა, რომ სტუდენტების აქტივობებთან დაკავშირებით, კოლეჯს ვიდეო ჩანაწერები გაუგზავნეს.
- აღინიშნა, რომ სტუდენტებს პრაქტიკის მასწავლებელთან მუდმივი შეხება აქვთ, იმავე სიხშირით, რა სიხშირითაც მათ უწევთ პრაქტიკებზე სიარული. ამ საკთხთან მიმართებითაც განსხვავებული მოცემულობა დაფიქსირდა სტუდენტების კვლევის მონაცემებით.

თვისებრივი კვლევის მონაცემები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - აღმზრდელი

- კვლევაში მონაწილე ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან დაფიქსირდა, რომ სტუდენტები პრაქტიკის განმავლობაში, პრაქტიკის ხელმძღვანელთან ერთად ახორციელებენ აქტივობებს, თავდაპირველად სტუდენტების მიერ ხდება მასწავლებლებზე დაკვირვება, თუმცა შემდგომ მათ აძლევენ დამოუკიდებლად შესასრულებელ დავალებებსაც, რასაც სტუდენტები წარმატებით ართმევენ თავს;
- სტუდენტებს საშუალება მიეცათ დამოუკიდებლად დაეგეგმათ და განეხორციელებინათ აქტივობები ბავშვებთან, ასევე დამოუკიდებლად წარმართავდნენ მშობლებთან კომუნიკაციას, პრაქტიკის მასწავლებლის მიერ კი მუდმივად ხდებოდა დაკვირვება მათ მიერ შესრულებულ დავალებებზე;
- თუმცაღა უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი ფაქტის არსებობა არ დაფიქსირდა სტუდენტებისგან არცერთი მოდულის ფარგლებში;
- აღნიშნეს, რომ სტუდენტები საკმაოდ კარგად ავლენენ თეორიაში ნასწავლ საკითხებს, რაც გადმოაქვთ პრაქტიკაში.

თვისებრივი კვლევის მონაცემები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - აღმზრდელი

- ორგანიზაციების წარმომადგენლები საუბრობენ იმ შედეგზე, რაც გამოვლინდა სტუდენტების მიერ კოლეჯში სწავლის დაწყების შემდეგ და მიუთითებენ, რომ თეორიის გავლის შემდეგ მათ მიერ მუშაობის პროცესში აღმოიფხვრა ის ხარვეზები, რაც მანამდე ფიქსირდებოდა.
- თუმცა ერთ-ერთი ორგანიზაციის წარმომადგენლის მიერ დაფიქსირდა ხარვეზიც, რომ სტუდენტებს არ ჰქონდათ სრულყოფილი ინფორმაცია აღსაზრდელი ბავშვების მშობლების ჩართულობასთან დაკავშირებით და ამ საკითხს პირველად შეეხნენ პრაქტიკის მიმდინარეობისას.
- დადებითად შეფასდა სტუდენტების მიერ გამოვლენილი უნარ-ჩვევები და აღინიშნა, რომ მათ აქვთ აღმზრდელისთვის საჭირო უნარები;
- პრაქტიკის განმახორციელებელმა ორგანიზაციებმა სტუდენტთა მოტივაცია ძირითადად 9-10 ქულით შეაფასეს.
- მათ ასევე აღნიშნეს, რომ პრაქტიკების დაწყებისთანავე სტუდენტებს აცნობენ არსებულ ქცევის წესებს, უტარებენ ინსტრუქტაჟს და აწვდიან ორგანიზაციის შესახებ ინფორმაციას. არცერთი ორგანიზაციის მხრიდან, არცერთ საკითხთან დაკავშიებით არ დასახელებულა მცირედი წესების დარღვევაც კი.

თვისებრივი კვლევის მონაცემები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - აღმზრდელი

თვისებრივი კვლევის ფარგლებში ორგანიზაციებს ჰქოდათ შესაძლებლობა კოლეჯისთვის მიეცათ რჩევა/რეკომენდაცია სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად. აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციების მხრიდან დადებითად არის შეფასებული კოლეჯის საქმიანობა და ისინი კმაყოფილნი არიან კოლეჯის მიერ მიწოდებული თეორიული ცოდნით. ასევე მიუთითებენ, რომ კოლეჯში მიმდინერეობს ახლებური სწავლება, ამ კუთხით მათ რეკომენდაციები არ გააჩნიათ და გამოხატავენ სურვილს, რომ კოლეჯმა მომავალში ჩამოაყალიბოს და მეტი კადრი გამოუშვას. ერთადერთ რეკომენდაციად ორგანიზაციათა ნაწილის მიერ დაფიქსირდა, რომ სასურველად მიიჩნევენ კოლეჯმა მეტი იმუშაოს უნარ-ჩვევების გაძლიერებაზე და ასევე აღნიშნავენ, რომ უმჯობესი იქნება მეტი ყურადღება გამახვილდეს ქართლი ენის ფლობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

დასკვნა

კვლევის მონაცემების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ კოლეჯის სტუდენტთა თითქმის უმრავლესობას აქვს საკმარისი თეორიული ცოდნა, რომ მათ წარმატებით გაიარონ პრაქტიკული სწავლება. პარტნიორი ორგანიზაციების და პრაქტიკანტი სტუდეტების მიერ დადებითად იქნა პრაქტიკული სწავლება შეფასებული. ასევე, გამოიკვეთა რიგი საკითხებისა, რომელიც საჭიროებს დეტალურ შესწავლას, სწორ იდენტიფიცირებას და გაუმჯობესების გზების დასახვას. ფარმაციის პროგრამის შემთხვევაში წინა წლის კვლევის შედეგებთან შედარებით გაუმჯობესების ტენდენცია ჩანს ბევრი კუთხით, თუმცაღა აღმზრდელის პროგრამის შემთვევაში რთულია იგივე დასკვნების გამოტანა, გამოკვეთილია სხვადასხვა მიმართულების ხარვეზები, რაც საჭიროებს სათანადო ყურადღებას.

რეკომენდაციები

კვლევის მონაცემების დამუშავებისა და შესწავლის საფუძველზე, ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა გაწერა რეკომენდაციები:

- ზოგიერთი კითხვა რაოდენობრივი კვლევის ინსტუმენტში საჭიროებს ჩასწორებას, რომ უფრო მარტივად გასაგები იყოს სტუდენტების კითხვის შინაარსი, ასევე საჭიროა თითოეული კითხვის შემთხვევაში კონკრეტული მაგალითების დასახელება სტუდენტების მიერ, რომ სწორად მოხდეს ამა თუ იმ საკითხის შეფასება;
- პრაქტიკების დროს ყურადღება უნდა გამახვილდეს პრაქტიკანტების მიერ სრული ინფორმაციის ფლობის საკითხზე;
- კარგი იქნება, თუ პრაქტიკული კომპონენტის დროს პრაქტიკის ინსტრუქტორებისგან პრაქტიკის განმავლობაში პერიოდულად მოთხოვნილი იქნება შესრულებული სამუშაოს შესახებ პრეზენტირება წერილობით ან სიტყვიერი ფორმით, განვილი დღის/კვირის შეჯამება.

რეკომენდაციები

- კარგი იქნება, თუ პრაქტიკული კომპონენტის დროს მოდულის განმახორციელებლების მიერ პრაქტიკის ინსტრუქტორებისგან გამოითხოვენ სტუდენტების მიერ პრაქტიკული დავალებების შესრულების შეფასების შედეგებს.
- საჭიროა პრაქტიკის ინსტრუქტორებისგან უფრო ხშირი კომუნიკაცია და ორგანიზებული სწავლება სტუდენტებთან.
- აღმზრდელის პროგრამის შემთხვევაში საჭიროა როგორც კოლეჯის მხრიდან, ასევე მოდულის მასწავლებლების მხრიდან მეთვალყურეობა გაეწიოს პრაქტიკის ობიექტზე მყოფ სტუდენტებს, რადგან ორივე კვლევის შემთხვევაში გამოიკვეთა არაორგანიზებული სწავლება ობიექტებზე. მოდულთან შეუსაბამო პროცესების განხორციელება, როგორც სტუდენტების, ისე ობიექტების მხრიდან ინფორმაციის ნაკლებობა თუ რომელი შედეგის სწავლებისთვის იმყოფებიან პრაქტიკის ობიექტებზე.